პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 აპრილი 1926 წ.

წლიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

№ 83 (1078) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. ბ.ტ. 4 გვ. 40 კ.

## წითელ არმიელთა პოლიტმომზადების შემოწმება მოახლოვდა.

ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებში, 20 აპრილიდან დაიწყება ახალი კამპანიის ჩატარება.

ეს კამპანია მიზნათ ისახავს, წითელ არმიელთა პოლიტმომზადების შემოწმებას და მაშასადამე იგი გამოარკვევს იმას, თუ როგორი პოლიტიკური და საერთო განათლებით არიან აღჭურვილი ჩვენი წითელ არმიელები.

სხვათა შორის ეს კამპანია უნდა დასრულდეს პირველ მაისამდი.

ასე, რომ წითელ არმიელთა პოლიტმომზადების და საერთო განათლების შემოწმების დრო განსაზღვრული იქნება და ამ განსაზღვრულ დროში უნდა მოესწროს ამ კამპანიის კარგათ ჩატარება.

პოლიტორგანოების მიერ, ამ გამოცდების ჩატარებისათვის, დაინიშნება სპეციალური გამომცდელი კომისია.

მაგრამ მთელი ამ გამოცდის მიმდინარეობა არ იქნება იმ სახის მატარებელი, როგორსაც ადგილი აქვს, ვთქვათ სამოქალაქო სკოლებში.

ამ შემთხვევაში ჩვენი წითელი არმიელი უბრალო მოწაფის როლს კი არ შეასრულებს, რომელიც უნდა წარსდგეს გამომცდელი კომისიის წინაშე და კარგი ნიშნის მიღებისათვის მთელი ჰაპანწყვეტა უნდა გაიაროს. არა. ეს გამოცდები ასეთი ხასიათის არ იქნება.

ჩვენ მიერ ამ გამოცდების ჩატარებას, უფრო განმეორებითი მეცადინეობის ხასიათი ექნება და ამ განმეორებითი მეცადინეობის მსვლელობაში, რომელსაც დაესწრება დანიშნული გამომცდელი კომისია, გამოირკვევა ის თუ საზამთრო პერიოდში გასატარებელი და სამეცადინო პროგრამა, როგორ იქნა შეთვისებული ჩვენი წითელ არმიელების მიერ.

მაშასადამე აქ უკვე გამომცდელი კომისიის ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს იმაზე, თუ რა ცოდნა მიიღო ჩვენმა წითელ არმიელებმა საზამთრო პერიოდში განვლილ მეცადინეობის დროს. და გარდა ამისა ამ კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ თითეული წითელი არმიელი, როგორი შეგნებით და ხალისით ეკიდებოდა საკუთარ თავის გათვითცნობიერების საქმეს.

როგორც ვხედავთ ეს კამპანია მეტად დიდი მნიშვნელობის არის და მისი დასრულებამ უნდა მოგვცეს დადებითი შედეგები.

ისე არც ერთ სახელმწიფოს ჯარში არ მისდევენ ჯარის კაცის განათლების საქმეს, როგორც ჩვენში და მაშასადამე მთელი ჩვენი მუშაობამ ამ მხრივ გაწეულმა უნდა მიგვიყვანოს იქამდე, რომ მთლიანად ჩვენი წითელი ჯარში არ უნდა დარჩეს არც ერთი წითელი არმიელი, რომელიც საკმარისად არ იქნება მომზადებული, როგორც პოლიტიკური, ისე საერთო განათლების დარგში.

ასეთი განათლებულ და გათვითცნობიერებულ წითელ არმიელზე არის დაყრდნობილი მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ცხადია, რომ მან ე. ი. ჩვენმა წითელმა ჯარმა უნდა გაამართლოს თავისი დანიშნულება.

ამიტომ კი საჭიროა გამოცდების ჩატარების დროს დიდი ყურადღება ექნეს მიქცეული წითელ არმიელთა ცოდნის შემოწმების საქმეს და თუ რაიმე მიზეზით არ იქნა შეთვისებული წითელ არმიელების მიერ საზამთრო პერიოდის პროგრამა, მაშინ საჭიროა ამ მიზეზის აღნიშვნა და მომავალში მისი ლიკვიდაციისათვის მზადება.

## 17 (4) აპრილი 1912 წელი

(ლენა)

დღეს სრულდება 14 წელი მას შემდეგ, რაც რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა მხეცურად გაუმასპინძლდა ლენის ოქროს მაღაროებში მომუშავე მუშებს.

რა მოხდა ამ 14 წლის წინათ ლენის მაღაროებში? მაღაროებში მომუშავენი მოითხოვდნენ ადამიანურ უფლებებს, მოითხოვდნენ აუტანელ პირობების ცოტათი მაინც გაუმჯობესებას, 8 საათის სამუშაო დღეს. 17 აპრილს მუშები მშვიდობიანად მიეშურებოდენ პროკურორთან თხოვნით გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებული მუშათა დელეგაცია და აი ამ დროს ჟანდარმის როტმისტრმა ტერეშჩენკომ დაუშინა ტყვიები უიარაღო მუშებს. დაიღვარა უდანაშაულო სისხლი.

ლენის მუშების დახვრეტის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს.

მეფის მთავრობის ამ მხეცურმა საქციელმა აღშფოთება გამოიწვია ყველა პატიოსან მშრომელში, არა მარტო აქ, არამედ საზღვარგარეთაც.

ლენაში გავარდნილი თოფის ხმა შეიქმნა მოწოდების საყვირად და ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასი იყო უდანაშაულო სისხლი ლენის მუშების, აღიმაღლა ხმა ამ მხეცურ საქციელის წინააღმდეგ.

ლენის ამბებმა, ისე როგორც 9 იანვარმა, ერთხელ კიდევ დააყენა საკითხი რუსეთის მუშათა კლასის წინაშე, თვითმპყრობელობის მოსპობის აუცილებლობის შესახებ ძირიან-ფესვიანად.

ლენის ამბებმა დარაზმა მუშათა კლასი ძლიერ ბრძოლებისთვის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

ლენის ამბებმა მოაახლოვა თვითმპყრობელობის დამხობა.

გავიდა რამოდენიმე წელიწადი და მუშათა კლასმა, შეჭიდროებულმა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ მოსპო სამუდამოთ ძველი რუსეთი, დაანგრია თვითმპყრობელის ტახტი და აღმართა საბჭოების დროშა.

მუშათა კლასმა სასტიკი შური იძია ლენის და კიდევ მრავალი მუშების დაღვრილი სისხლისთვის.

დღეს ჩვენ ვიგონებთ ლენის მაღაროების მუშებს და ვხრით მათ ხსოვნის წინაშე წითელ, გამარჯვების დროშებს.

დღეს ფიცს ვსდებთ მათ ხსოვნის წინაშე, რომ ამ დროშებს, შეღებილი მათი სისხლით ჩვენ არასდროს არ დაუთმობთ ჩვენ მტრებს და ვიბრძოლებთ, მანამ შეგვწევს ძალი და ღონე.

ჩვენ ფიცს ვსდებთ, რომ ყოველთვის მზად ვიქნებით ვიბრძოლოთ ოქტომბრის გამარჯვებისათვის მთელ დედამიწის ზურგზედ.

საბჭოთა ქვეყნებში გაიმარჯვა მუშათა კლასმა. და განა დღეს იქ, სადაც მეფობს ბურჟუაზია, არ აქვს ადგილი „ლენის" ამბებს?

განა დღეს აუარებელი მუშები და გლეხები არ იტანჯებიან ბურჟუაზიის ციხეებში?

და ლენის გმირთა ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა იქნება ის, თუ ჩვენ გაუწევთ დახმარებას ამ უამრავ ტანჯულთ, გაუწევთ დახმარებას როგორც მორალურს, ისე მატერიალურს.

ეს დახმარება უფრო გააკაჟებს მათ ნებისყოფას, გაუძლიერებს ბრძოლის უნარს და მოაახლოებს ჟამს ბურჟუაზიის დამხობის ყველგან, სადაც კი იბრძვის მუშა და გლეხი.

ე—

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები.

### სახალხო არმია სტოვებს პეკინს.

#### ქალაქის მართვისთვის არჩეულია დროებითი კომიტეტი

სახალხო არმიის სარდლობამ დაადგინა დასცალოს პეკინი, ვინაიდან უ-პეი-ფუსაგან არავითარი პასუხი არაა.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო არმიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია შეტევაზე გადმოსულ მუკდენის ჯარებს, ბრძოლის გაგრძელება უანგარიშობა იქნება, ვინაიდან ეს ბრძოლა იქნება, უშედეგო, შეასუსტებს სახალხო არმიის ძალებს და მდგომარეობას ვერ გადასჭრის.

სახალხო არმიის გადაწყვეტილებამ პეკინის დაცლის შესახებ დიდი შიში გამოიწვია ქალაქში. ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ ის არ შევა პეკინში, თუ რომ სახალხო არმია თავის ნებით დასცლის მას, და დარჩება ქალაქ გარედ, სანამ მთავრობის საკითხი არ გადაწყდება.

ქალაქის დროებით მართვისთვის არჩეულ იქნა მოქალაქეთა კომიტეტი. კომიტეტის უმეტესობა უ-პეი-ფუს მომხრეებია.

## ჩან-ძო-ლინი და ლი-ჩინ-ლინი

ჩან-ძო-ლინმა გასცა ბრძანება, რათა დაჭერილ იქნას თავისი მოკავშირე, ჩილის სამხედრო გუბერნატორი ლი-ჩინ-ლინი, რომელსაც ის ბრალს სდებს უ-პეი-ფუსთან შეთქმულებაში.

ლი-ჩინ-ლინი მიიმალა ტიან-ცზინში იაპონიის საკონსულოს რაიონში.

## უმუშევართა დემონსტრაციები ვარშავაში

ვარშავში გრძელდება უმუშევართა დემონსტრაცია. ქალაქის რამოდენიმე რაიონში მოხდა შეტაკება პოლიციასა და უმუშევრებს შორის. შრომის სამინისტროს შენობას იცავს პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

## პოლონეთის მონარქისტები ინგლისიდან მოითხოვენ მეფეს

ვარშავაში მყოფი ლონდონის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, პოლონეთში მონარქიის გამოცხადების აზრი თანდათანობით მარტივ სახეს ღებულობს.

მონარქისტები იმედოვნებენ, რომ ისინი შესძლებენ დაითანხმონ ინგლისის მეფის მეორე შვილი—ავიდეს პოლონეთის ტახტზე.

## საბჭოთა კავშირში

### სსრკ-ს ცაკის მეორე სესია

#### კამათი ბიუჯეტის გარშემო

15 აპრილის დილის სხდომაზე გრძელდება კამათი რიკოვისა და ბრიუხანოვის მოხსენებისა და კუიბიშევის თანამოხსენების გარშემო. კამათი სწარმოებდა ცალკ-ცალკე საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში.

#### კუიბიშევისა და ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვები

კუიბიშევმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო კომისიამ ყოველივე ზომები იხმარა, რათა შეემცირებია სახელმწიფოს ცალკე ხარჯები და უზრუნველეყო ბიუჯეტის შემოსავლის რეალობა. გასავლის შემდეგი გაფართოება და მასთან დაკავშირებულ შემოსავლის გადიდება შეუძლებელია.

უკეთებს რა ჯამს კამათს, კუიბიშევი აღნიშნავს სრულ თანხმობას ცაკის წევრების შორის კამათის დროს.

ამხ. ბრიუხანოვი უპასუხებს მთელ რიგ ორატორთა შენიშვნებზე და აღნიშნავს, რომ საჭიროა სასტიკად იქნას შესრულებული საგადასახადო ვალდებულებანი და ყოველმხრივ შეკვეცილ იქნას მომხმარებელთა ხარჯები. ეს მოგვცემს ჩვენი ბიუჯეტის განმტკიცებისა და ქვეყნის აღორძინების საშუალებას.

## კონფერენცია ფინეთის უბე-ყურეს

მოსკოვში დაიწყო მუშაობა ესტონეთ—საბჭოთა კონფერენციამ. კონფერენციის მიზანია გაარჩიოს ფინეთის უბეყურეს საკითხები.

## ტრაქტორები

ამერიკიდან ნოვოროსიისკში შემოვიდა 3.884 ტრაქტორი და 3.479 გუთანი რაიონებში დასარიგებლად. ტრაქტორების დიდი ნაწილი (1.131) გაგზავნილია ჩრდილოეთ კავკასიაში, უზბეკისტანში გაიგზავნა 504 ტრაქტორი.

## საქართველოში.

### სოფლის მომარაგება საქონლით

აჭარისტანის ცეკავშირმა გაუგზავნა მაზრის კოოპერატივებს 20.000 ფუთი მარილი, ერთი ვაგონი ფქვილი და 20.000 მანეთის სიგლეხო მანუფაქტურა.

### სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა

აჭარისტანის მაზრებში სასოფლო სამეურნეო ბანკის საშუალებით მოწყობილ იქნა 15 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 850 გლეხს.

### მომჭირნეობის რეჟიმი

ბათუმის საბაჟომ დასდო ხელშეკრულება არტელ „ამხანაგობასთან" ყოველგვარ დატვირთვა—გადმოტვირთვის ოპერაციების წარმოებაში.

ახალი ხელშეკრულება არტელთან ამცირებს ზედანართ ხარჯებს 50 პროცენტით.

## სამნეო დარგის მუშაობა ახალწვეულების მოსვლის და უვადო შვებულებაში წ. ა. დათხოვნისას.

სამხედრო სამნეო მომარაგების ხელმძღვანელების ამოცანას შეადგენს გააღრმავონ ადგილობრივ მუშაობა ერთეულებში ახალწვეულების მისვლის და ერთეულიდან უვადო შვებულებაში წითელ არმიელების წასვლის დროს, რათა ამით მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები. ამ მიზნისთვის ახლავ უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში და შემდეგ უკვე განხორციელებული მომარაგების ყველა ის ზომები, რომელებიც დაკავშირებულია ჯარის რიგებიდან წ. არმ. დათხოვნის და ახალწვეულების მოსვლის საკითხებთან.

ამასთან უნდა გვახსოვდეს შემდეგი.

1. რადგანაც სანივთო კმაყოფის საგნები ეძლევათ უვადო შვებულებაში მიმავალთ ყოველდღიურ სახმარებელ ტანისამოსის რიცხვიდან, საჭიროა წინასწარ გასინჯულ იქნას ზომები სასწრაფოთ მის გასარეცხად და შესაკეთებლად, ისე, რომ ნაწილიდან წითელ არმიელები არ წავიდნენ დაუკერებელი და ჭუჭყიან ტანისამოსში.

2. სურსათ-სანოვაგით მომარაგება ახალწვეულების და უვადო შვებულებაში გაშვებულების დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა და სხვა საკითხებთან, როგორიცაა: სურსათ-სანოვაგის თავის დროზე გადმოტანა საწყობიდან საკმარისი რაოდენობით, სადილ-ვახშმის დამზადება და ფულის მიღება, საიდგანაც ჯერ არს ამისთვის საჭირო რაოდენობით, ზედმეტი პურის გამოცხობა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ იყო, მუშაობის გეგმის შეთანხმება ადგილობრივ ორგანოებთან და სხვა და სხვა.

ეს საკითხები საკმაოდ საძნელოა და მოითხოვს სათანადო ყურადღებას და წინდახედულობას, ამიტომ მათ გადაწყვეტას უნდა მიუდგეთ მოფიქრებით და მთელი გარემოების აწონ-დაწონით. დასასრულ უნდა შედგენილ იქნას ახალწვეულების და უვადო შვებულებაში მიმავალთა საერთო მომარაგების მუშაობის ერთგვარი მიზანშეწონილი გეგმა.

თავის დროზე საჭიროა ჯარის ნაწილებში წინასწარი მუშაობა ახალწვეულების მისაღებათ. მოსვლის პირველ დღესვე ახალწვეულმა უნდა მიიღოს ყველა ის, რაც მისთვის საჭიროა. პირველ შთაბეჭდილებას აქვს საერთოდ დიდი მნიშვნელოვანობა.

ახალწვეულები ჯერ გაუცნობელნი არიან ჯარის ცხოვრებასთან, მათ არ იციან ყველა ის, რაც იციან უვადო შვებულებაში მიმავლებმა, ამიტომ, როგორც სამნეო მუშაკების, აგრეთვე ყველა უფროსთა შემადგენლობის მოვალეობაა, ნივთების მიღებისას შთააგონონ და შეასწავლონ ელემენტარული ცოდნა მიღებულ ქონების შენახვაზე და მოვლაზე, ვინაიდან ეს არის სახალხო ქონება, რომელსაც ყოველი შეგნებული მოქალაქე უნდა მოეპყრას მეტი დაზოგვით და გაფრთხილებით.

ნ. შ.

## რკინის გზით ჯარების გადაყვანა

რკინის გზით გადაყვანის დროს ეშელონის უფროსი ხალხს, ცხენებს და დანარჩენებს ანაწილებს შემდეგნაირათ: 1) თითო რონოდაში 36 კაცი ზაფხულში და 32—კი ზამთარში, მაგრამ საჭირო შემთხვევაში ნაჩვენები რიცხვი თითო რონოდაში, განსაკუთრებით სამგზავრო გზის სიახლოვის გამო, გადიდდება 60 კაცამდე. 2) ერთ ცხენის რონოდაში 8 ცხენი და შეკაზმული კი 6 ცხენი. 3) მსუბუქი ავტომობილი—2—ბაქანის გასწვრივ. 4) საბარგო ავტომობილი 1—ბაქანის გასწვრივ. 5) დახურულ რონოდაში—საველე სამზარეულო—2. 5) სხვა და სხვა ნიმუშის ორთვალები; ორთვალები და სხვა საბარგულები მისი სიდიდის და სიპატარავის მიხედვით თითო ბაქანში უნდა დაეწყოს: 6, 4, 3, 7 და 10. 7) არტილერია „როზენბერგის“ 16 ქვემეხები—ერთ ბაქანში (30 ფუტის სიგრძე). 8) დახურულში—12 ქვემეხი. 9) ტყვიამფრქვევი „მაქსიმა“ ტ ჩანკებზე 6—8 თითო ბაქანში. 10) დახურულ რონოდაში—32. 11) სასანიტარო ორთვალები 6—ერთი—ბაქანის გასწვრივ; 12) ლაზარეთის ლინეიკა 1, საველე სამზარეულო 2, ვაზნების ორთვალა—4, სულ—7 ერთ ბაქანზე. 13) საველე სამზარეულო 3, სავაზნე ორთვალა—4, სულ—7 ერთ ბაქანზე. 14) საველე სამზარეულო—4, ოთხთვალა საზიდავი—1, (ყველა ბაქნის განზე). ასეთია დახლოებით მსროლელი ლეგიონის შემადგენლობის დატვირთვის წესი.

ეშელონის მოგზაურობის დროს—რკინის გზაზე ყველა სამხედრო მსახურნი ვალდებულნი არიან დაიცვან სრული წესრიგი და გაუფრთხილდენ სახაზინო ქონების გაფუჭებას, როგორიცაა: რონოდების მოწყობილობა და სხვა საჭირო ინვენტარი ეშელონის დატვირთვა და გადმოტვირთვისათვის; აგრეთვე არ გაჩაღონ ცეცხლი—გაჩერებისას ლიანდაგზე და ამაზე არ მოიხმარონ რკინის გზის სხვა და სხვა ხე და ფიცრები; უსაქმოთ რკინის გზის ლიანდაგზე არ შეიძლება სიარული და სხვა. როდესაც საჭიროება მოითხოვს სამხედრო მსახურნი ვალდებული არიან ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ რკინის გზის მოსამსახურეებს. აკრძალულია ცხენების რონოდებში ცეცხლის გაჩაღება და ხმაურობა; ხალხის რონოდების მეუფროსეები—ნიშნავენ ორი დღეღამის დღიურებს, უკანასკნელნი თვალ-ყურს ადევნებენ რონოდის ყოველივე სახაზინო ქონებას და სხვა წესრიგს. ეშელონის მისვლისთანავე დანიშნულ ადგილას—უკანასკნელის უფროსი ახდენს, სათანადო განკარგულებებს—ხალხის და ყოველივე ქონების გადმოტვირთვისთვის და სხვა მხოლოდ კომენდანტის (სადგურის) ან და სადგუფროსის მითითებით; დაცლისთანავე ხდება სახაზინო ქონების გადაბარება სათანადო პირზე და სხვა. ყოველი წითელარმიელი სამსახურის გათავებამდე, აუცილებლათ უნდა გაეცნოს სამხედრო მატარებლის სამოსწავლო დატვირთვას პრაქტიკულათ, სადაც უნდა მოხდეს სათანადო ცოდნის მიწოდება თეორეტიულათ.

ჯ. ქუთელია.

## შეისწავლე ძიება

### კარგად შერჩეული ადგილმდებარეობა გამარჯვების თავდებია

საბრძოლო მოქმედების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილ-მდებარეობას.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა ადგილმდებარეობის დაუფასებლობის ან მისი შეუსწავლელობის გამო სრულებით მარცხდებოდა ნაწილები და ასიათასობით იღუპებოდა მეომრები.

სამოქალაქო ომიდან ჩვენ ვიცით ასეთი შემთხვევა: ყირიმში ყოფნის დროს ვრანგელს არ ჰქონდა საშუალება გასულიყო ხმელეთით და სცდილობდა გადმოესხა დესანტი ყუბანზე, მოემზადებია იქ აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მოეწყვიტა წითელი ჯარები კავკასიისაგან. წითელი ნაწილების მდგომარეობა მეტად სახიფათო შეიქნა, ვინაიდან ყველგან თავი იჩინა ადგილობრივმა ბანდებმა. საჭირო იყო ისეთი მოქმედება, რომლითაც ჩაიშლებოდა ვრანგელის დესანტის გადმოსხმის გეგმა.

აი სწორედ აქ ისარგებლა წითელ სარდლობამ იმით, რომ ვრანგელს არ ჰქონდა კარგად შესწავლილი ადგილ-მდებარეობა.

1920 წ. 28 აგვისტოს, ღამით, 1200 კაცისაგან შედგენილი რაზმი 15 ტყვიამფრქვევითა და 4 ზარბაზნით, ამხ. კავთიუხის მეთაურობის ქვეშ ჩასხდენ ნავებში და გასცურეს მდინარე პროტოკით, თეთრების ფრონტის მახლობლად; ეს ფრონტი ვერ ჰქონდათ სათანადოდ დაფასებული თეთრებს და, მაშასადამე, ვერც იცავდენ კარგად.

ამხ. კავთიუხმა თავისი რაზმით შემოუარა ზურგში თეთრ გვარდიელებს, დაატყვევა მათი შტაბი. შედრკა თეთრების ფრონტი. ჩვენმა ჯარებმა შეუტიეს კიდევ ფრონტიდან თეთრები უკუიქციენ და დასტოვეს დიდძალი სურსათი და იარაღები.

ამ შემთხვევიდან სჩანს, თუ რა ცუდი შედეგები მოსდევს, როცა ადგილ-მდებარეობა სათანადოდ ვერაა დაფასებული და დაცული.

ეხლა ვიკითხოთ: რას უნდა მიაქციოს მძიებელმა ყურადღება ადგილ-მდებარეობაზე და რა უნდა აცნობოს მან თავის უფროსს.

პირველ ყოვლისა გზების შესახებ. თუ ასეთები მოიპოვება,—რამდენია, როგორია, საით მიდიან, გზის სიფართოვე, საიმედოობა, როგორ ადგილებში გადის ტყეებში თუ მინდორზე და როგორი ჯარის გაყვანა შეიძლება ამ გზებზე.

შემდეგ: არის თუ არა წყლები. თუ ასეთებია, აქვთ თუ არა ფონი, როგორი ნაპირები აკრავს (ციცაბო, ოდნავ დაფერდებულია, არის თუ არა ხიდები და როგორია ისინი.

ბოლოს: როგორი ადგილმდებარეობაა მძიებლის გარშემო—მინდორი, ტყე, ჭაობი, მთები, ჯალები და რამდენად შეიძლება იქ მოძრაობა.

რომელ მხარეზეა მაღლობი და ხომ არაა საერთოდ ადგილმდებარეობა აირებით მოწამლული.

ი. ბ.

## უპატრონო ბავშთა სასარგებლოდ

16-და 18 აპრილამდი ბათუმში ეწყობა სამდღიანი კამპანია უპატრონო ბავშთა სასარგებლოდ.

კამპანიის ჩასატარებლად არჩეულია სპეციალური კომისია.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი
„წითელი არმიელი“

## ჩიჩერინის ნოტის გამოძახილი.

როგორც მოსალოდნელი იყო ჩიჩერინის ნოტამ დიდი გამოძახილი ჰპოვა, როგორც ევროპის გაზეთებში, ისე მთავრობის წრეებში. ჩიჩერინის ნოტამ განსაკუთრებითი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე თვით ერთა ლიგაზე. ყველანი აღნიშნავენ ნოტის ენერგიულ და მკაცრ კილოს.

გაზეთების აზრით, ჩიჩერინის ნოტას პირდაპირ პასუხს არ გასცემს არც ერთა ლიგის სამდივნო და არც შვეიცარიის მთავრობა. მაგრამ ან ერთი, ან მეორე განმარტავს თავის დამოკიდებულებას იმ საყვედურისადმი, რომელსაც შეიცავს ჩიჩერინის ნოტა. ერთა ლიგის წრეები კი კვლავ იმ აზრს იცავენ, რომ საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის უთანხმოება საბაბს აძლევს საბჭოთა მთავრობას არ მიიღოს მონაწილეობა განიარაღების წინასწარ თათბირში.

თუმცა, უმთავრესად გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგის წრეები ძალიან უკმაყოფილონი არიან ჩიჩერინის ნოტის შეურიგებელი კილოთი, მაგრამ ის მაინც სდგას, როგორც ერთა ლიგის წრეების, ისე ევროპის სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში.

თვით შტრეზემანთან დაახლოებული გაზეთს „ტეგლიხე რუნდშაუ“-ს, საბჭოთა კავშირის საქციელი არ მიაჩნია სალ პოლიტიკურ ნაბიჯათ, რადგან საბჭოთა კავშირს გაცილებით უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა შეეძლო განიარაღებისათვის, რომ მას ასეთი მკაცრი და უარყოფითი პოზიცია არ დაეკავებია იმ კონფერენციისადმი, რომელსაც ერთა ლიგა იწვევს. „მიუხედავათ ამისა, სწერს გაზეთი,—უნდა შევმშურდეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, რომელსაც ასე აშკარათ შეუძლია სიმართლის თქმა“.

უფრო აღშფოთებულია საფრანგეთის გაზეთები. საგარეო საქმესთან ახლო მდგომი გაზეთი „ტანი“ ჰფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის უარი განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ, აიხსნება იმით, რომ მას სურს ჩაშალოს დასავლეთ სახელმწიფოებს შორის მიღწეული შეთანხმება და ამით მიიმხროს გერმანია.

მემარცხენე—ბურჟუაზიული გაზეთი „ევრი“ სწერს: „ვოროვსკის ისტორია და შვეიცარიის ტერიტორიაზე საბჭოთა დელეგატებისათვის უშიშროების უზრუნველყოფის უქონლობა—ეს ყველაფერი საბაბია. ჩიჩერინის ნამდვილი მიზანია სახელი გაუტეხოს ერთა ლიგას, კვლავ მიიმხროს გერმანია და შექმნას აღმოსავლეთში ძლიერი სამხედრო კავშირი ერთა ლიგის წინააღმდეგ“.

იტალიის გაზეთები უფრო ერთა ლიგის მხილებას შეიცავენ: ფაშისტური გაზეთი „ტევერე“ სწერს: „წაიკითხეთ ჩიჩერინის ნოტა ერთა ლიგის სამდივნოსადმი, შეაფასეთ ბრალდება თვალთმაქცობისა და არაგულწრფელობისა, რაც სრულიად არ არის საფუძველს მოკლებული და ასწონ-დასწონეთ ჩიჩერინის ირონია „მშვიდობიანობის“ მოყვარულთა მიმართ, განა არ შეიძლება ხელი მოვაწეროთ ამ ბრალდებაზე?!“

ჩიჩერინის ენერგიულმა და მკაცრმა კილომ ყველას გარკვეული პოზიცია დააკავებია განიარაღების საკითხისადმი. ფარული ზრახვები და უკანო აზრები ჩვენი საგარეო უწყების ხელობა არაა. ჩვენ ვამბობთ და ვმოქმედობთ იმას, რაც ჩვენ გვჯერა და გვწამს. ჩვენ ვერ მოვატყუებთ ჩვენს მუშებს და გლეხებს, ვერც ევროპის პროლეტარიატს. ჩვენ ვართ და ვიქნებით ევროპის იმპერიალისტების და მათი ინტერნაციონალის—ერთა ლიგის შავი საქმეების მამხილებელი.

ჩვენ არ გვჯერა ერთა ლიგის განიარაღების შესახებ ტკბილი მუსაიფი და არც მისი მშვიდობიანობის მოყვარეობა. ამას კი ნურც გვიწუნებენ და ნურც გაგვირისხდებიან!

თ. განგეს.

## სალი ფეხები ქვეითი ჯარის ძალაა

ომში ჯარებს მოუხდება ხანგრძლივი სიარული, სანამ თვით ბრძოლაში ჩაებმებოდენ. გადასავალი ხშირად მეტად გრძელი იქნება. რომ დიდი მანძილის გავლა მეომრებს არ გაუჭირდეთ, ამისთვის საჭიროა ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს ივარჯიშონ. ამიტომ ეხლაც კი, ახალგაზრდა მეომრის სწავლების დასაწყისიდანვე, ჯარის ნაწილები აწყობენ სეირნობას, მინდვრად გასვლას და სხვა. თავიდათავი ისაა, რომ ნაწილმა, რომელმაც გაიარა 25 კილომეტრი (დღე-ღამეში), უნდა შეინარჩუნოს თავისი ძალები, მივიდეს დანიშნულ ადგილს მთლიანად და შემდეგ შესძლოს საბრძოლო მუშაობის გაგრძელება. გადასვლის ასეთი წარმატება პირველყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში აქვს მეომარს ფეხები. ხოლო იმისთვის, რომ ფეხები საღმდ შეინახო—უნდა იცოდე მათი მოვლა, კარგად ჩაცმა. თუ რომ ფეხსახვევი ცუდად გაქვს დახვეული, ფეხები დაგიწყლულდება, დაკოჭლდები და ჩამორჩები.

ამნაირად რიგებს შეიძლება ჩამოშორდეს, ჩამორჩეს ერთი, ორი, ათი კაცი და ასე შემდეგ. ამრიგად, ცხადია, ასეული დაჰკარგავს თავის ძალას. და აი, რამდენადაც მეტია ჩამორჩენილები, რამდენადაც მეტია დაუდევარი წითელ არმიელი, რომელიც არ უვლის თავის ფეხებს, იმდენად მეტი ძალა ეკარგება ნაწილს. ბოლოს და ბოლოს ასეთ ნაწილს სულ დაეკარგება ძალა ბრძოლის დაწყებამდი. და ყოველივე ეს ხდება ფეხების ცუდი მდგომარეობის გამო.

თუ რომ ლაშქრული მოძრაობის დროს წითელ არმიელი იგრძნობს, რომ ფეხსაცმელი აწუხებს, უნდა გაისწოროს დაუყონებლივ. ღამით შესვენების დროს აუცილებლად უნდა გაიხადოს და წყლით დაიბანოს ფეხები. მცირე ხნით შესვენების დროს რამოდენიმე ხნით უნდა წამოწვეს და ფეხები მომაღლოდ უნდა ჩამოასვენოს.

ამრიგად ფეხის მოვლისაგან დამოკიდებულია წარმატებით მოძრაობა.

ამას გარდა საჭიროა მთელი საპურველი ისე გქონდეს მოსადაგებული, რომ არ გიშლიდეს სუნთქვას და არ გტკენდეს ხეულის რომელიმე ნაწილს. თუ ამ პირობებს დაიცავს, ქვეითი მეომარი იქნება დაუღალავი, მოძრავი და, როგორც იტყვიან, ფეხმარდი.

ვ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო

4-ე ლეგიონის 3 ასეული.

4-ე ლეგ. 3-ე ასეულში ჩამოყალიბებულია სამხედრო სამეცნიერო წრე.

წრეს აქვს მეცადინეობა კვირაში ორჯერ და ერთხელ კვირაში ხდება წრის საერთო კრება. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. წრის პრეზიდიუმმა ჩამოაყალიბა სამ მახლობელ სოფლებში სამხედრო კუთხეებთან—სამხედრო წრეები.

წრის მთელი ყურადღება მიმართულია მშრომელი ხალხის გასამხედროებისაკენ. წრეს მთელ ქ. ცხინვალის რაიონში ჰყავს 197 წევრი.

9 აპრილს სამხედრო სამეცნიერო წრემ მოაწყო საპრიზო შეჯიბრი შაშხანა თოფის სროლაში. დილის 10 საათზედ ასეული და შემჯიბრი გლეხები წყობილებით და მუსიკით გაემგზავრენ სასროლი მოედნისაკენ. შეჯიბრზედ ჩაწერილი იყო 120 გლეხი.

შეჯიბრის შემდეგ წარმოთქმულ იქნა სიტყვები, როგორც უფ-პოლიტშემადგენლობისაგან, ისე ადგილობრივი ორგანიზაციებიდან. სიტყვების შემდეგ იქნა დარიგებული პრიზები, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გლეხებში.

ასეულმა დაუმტკიცა ხალხს, რომ სამხედრო წრეები ერთ-ერთი საშუალებაა მშრომელი ხალხის გასამხედროების.

სამხკორი გ. ადამია.

## ლენკუთხე თავის სიმაღლეზე სდგას

1-ლი არტლეგ. 4 საგაუბიცო ბატარეია.

ბატარეიის ლენკუთხე ერთ სამაგალითოდ ითვლება მთელს ლეგიონში. მასში მრავალი ლიტერატურა მოიპოვება, რომელსაც გულმოდგინეთ კითხულობენ წითელარმიელები. კუთხეში ჩამოყალიბებულია აგრეთვე სხვა და სხვა განყოფილებები, როგორიც არის 1905 წლის რევოლუციის კუთხე, რემედასის, ქიმიური, სამხედრო, ჩვენი ყოფა-ცხოვრების და სხვა განყოფილებები. ყველა განყოფილებაში მოიპოვება სათანადო ლიტერატურა. აქვე არსებობს ცნობათა ბიუროს მაგიდა, რომელშიდაც შეაქვთ შეკითხვები წითელარმიელებს. სხვა და სხვა წითელარმიელებს ეძლევათ შეღავათების მოწმობები თავიანთ ოჯახებში გასაგზავნათ.

კუთხე ამის გამო ძლიერ იზიდავს წითელარმიელთა ფართო მასას და ხელს უწყობს მათი გათვითცნობიერების საქმეს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ჩვენი ლიტერატ. წრის მუშაობა.

მე 2 არტლეგიონი.

შვიდი აპრილიდან ხსენებულ ლეგიონში წითელ არმიელების ინიციატივით დაარსებული იქმნა ლიტერატურული წრე, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა ერთ-ერთ წითელ არმიელმა. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დრო წრის წევრებს არ ჰქონდათ სხვა წრეებში მონაწილეობის გამო, მათი მუშაობა მაინც არ დარჩა უნაყოფო. 14 აპრილს ერთ-ერთ ლენკუთხეში მოწვეული იქნა ლეგიონის წ. არმ. და ზოგი მეთაურებიც. მოეწყო ლიტერატურული გასამართლება „სურამის ციხის" ერთ-ერთ გმირის ვარდუასი. გასამართლების მსვლელობამ ნათლად დაამტკიცა თუ რამდენად ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას წრის წევრები.

მთელი დარბაზი სიამოვნებით შეხვდა ამ გარემოებას. განაჩენის გამოტანაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე წ. არმიელებმა.

წ. არმიელები კმაყოფილნი დარჩენ წრის მოწყობილ გასამართლებით და დაავალეს მათ მოაწყონ შემდეგისათვის ტარიელ მკლავაძის გასამართლება.

სასურველია ამ წრემ უფრო გააფართოვოს თავისი მუშაობა და გააცნოს ჩვენი წ. არმიელებს საერთოდ ბატონ-ყმობის დრო საქართველოში.

სამხკორი პა—ვი.

## ჩვენი ლეგიონიც ემზადება საბანაკოდ.

1-ლი ლეგიონი.

აპრილის პირველ რიცხვებში ლეგიონმა გამოყო ორი ასეული და გაგზავნა საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად, ქართული ნაწილების საერთო შეკრების ადგილზე. მიუხედავად ცუდი ამინდებისა ასეულების წითელ არმიელები მუყაითად ეკიდებიან საქმეს. ასეთი მუშაობის დროს წითელ არმიელები არ ივიწყებენ სხვა და სხვა საკითხებსაც, რომელზედაც ხშირად ატარებს საუბრებს ათასეულის უფროსი ამხ. ყიფიანი. მოგვდის გაზეთები და ჟურნალები.

ბანაკის მოსაწყობად წარმოებული მუშაობა წარმატებით მიდის წინ. მოკლე ხანში ჩვენ შევსძლებთ დავალების მთელი ასი პროცენტით შესრულებას.

წ. არმ. კ—ძე.

## არ გვივიწყებენ

5-ე ლეგ. 3 ასეული.

ამას წინად ასეულს ეწვია ლეგიონის სამხედრო კომისარი, რომელმაც დაათვალიერა ასეულის ყაზარმა. გაეცნო ჩვენს ცხოვრებას, ინახულა საწოლი ოთახები, საწერლო ოთახი, სამხედრო კუთხეები, სამზარეულო, ასეულის საწყობები და ადგილობრივ სამკითხველოში მოწყობილი სამხედრო კუთხე, სადაც ვაწარმოებთ მოქალაქეთა გასამხედროებას.

გამართა საუბარი ასეულის წარმომადგენლობასთან ყოფა-ცხოვრების შესახებ და დაწვრილებით გაეცნო წითელ არმიელებისა და მეთაურების ურთიერთ დამოკიდებულებას.

გადასინჯა პარტიული მუშაობა ასეულში, ინახულა ადგილობრივი სამხედრო კომისარიატი. დიდი ყურადღებით მოეპყრო აგრეთვე ჩვენსა და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთმანეთთან დამოკიდებულების საკითხს.

ამხანაგის მოსვლამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ასეულის ხელმძღვანელებზე. კარგი იქნება ხშირად მოგვინახულებდენ ჩვენი უფროსები ასე და გაიგებდენ ჩვენს ჭირვარამს.

სამხკორი გიორგობიანი.

## ცომი პური გვეძლევა.

მე-5 ლეგიონს არა აქვს თავისი საკუთარი პურის საცხობი. პურს ვღებულობთ მესამე ლეგიონის საცხობიდან, მაგრამ ხშირად ისეთს, რომ წითელ არმიელები სიახლოვეს ვერ ეკარებიან. პური უმცხვარი, ცომი გვეგზავნება. საინტერესოა ნუ თუ ასეთი პური ურიგდება თვით მესამე ლეგიონს და ყურადღებას არ აქცევენ მას. საჭიროა ჩვენი სამნეო ნაწილი შესაფერ ზომებს მიიღებდეს ამ მოვლენის წინააღმდეგ სანამ ავადმყოფობა არ გამოუწვევია ნაწილში ცომი პურის დარიგებას.

სამხკორი მოსე გურული.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მე-2 არტლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფი მტკიცდება.

მე 2 არტლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფში ამჟამად ითვლება 30-35 წევრი. მათ შორის 9 მეთაურია, დანარჩენი კი წითელ არმიელები. ყველა წევრები ერდგულად ეკიდებიან ჯგუფის ორგანიზატორის მიერ მიცემულ დავალებებს. კრებებზე, პარტსკოლის მეცადინეობაზე და კომუჯრედის სხდომებზე ყოველთვის ესწრებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში. პარტდისციპლინა თუ წინად ცოტა მოიკოჭლებდა, ამჟამად თავის სიმაღლეზე სდგას. დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ შესაფერ ზომებს ღებულობს ჯგუფი ყოველთვის. კრებაზე 4 არ დასწრება საკმარისია, რომ გამორიცხული იქნეს კავშირიდან ამხანაგი. მანამდე კი ეძლევათ გაფრთხილება. ასე აწარმოებს მუშაობა ჩვენს ჯგუფში.

სამხკორი არუთინოვი.

## მოხსენება კომკავშირის 7 ყრილობის მუშაობაზე.

ცხენოსან ლეგიონის 1-ლ ესკადრონის ახკომკავშირის ჯგუფის კრებაზე ამ დღეებში გაკეთებული იქნა მოხსენება კომკავშირის ყრილობის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, თუ როგორი მიღწევები ჰქონია კომკავშირს საერთოდ სოფლად მუშაობაში, რაც ნათლად გამოაშკარავებულა ყრილობაზე. აღნიშნა აგრეთვე თუ როგორ მიმდინარეობს 1902 წელში დაბადებულ წითელ არმიელთა გააქტივება, რომელიც დიდებითათ აღუნიშნავს ყრილობას.

ამის შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ყრილობაზე წამოჭრილ ყველა საკითხებს, რაც დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი. კრებამ სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა მოხსენების ირგვლივ და ფიცი დასდო მთელი ენერგიით შეეცდება ყრილობის ყველა დადგენილებები ცხოვრებაში უნაკლოდ გაატაროს.

წ. არმ. ხიმჩიაშვილი.

## სამოქალაქო უჯრედებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს.

1-ლი საკავშირო ასეული.

ასეულში ამას წინად შესდგა ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება სხვა და სხვა სამოქალაქო და სამხედრო უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების მიერ თავიანთი მუშაობის შესახებ. კრებამ მათი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და მაინც მიუთითა ზოგიერთ საკითხებზე, რომელთა მოგვარება აღნიშნულ უჯრედებთან ურთიერთობის დროს უკეთ შეიძლებოდა და დაავალა მათ ამ მიმართულებით მუშაობა.

დასასრულ კრებამ განიხილა ზოგიერთ კავშირის წევრების მოქმედება დისციპლინის დარღვევის შესახებ და მისცა მათ სათანადო გაფრთხილება.

კრებამ საჭიროდ სცნო აგრეთვე მოეწყოს ექსკურსია საქსოვ ქარხანაში, რაც დაავალა უჯრედის პრეზიდიუმს.

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

## ლენა...

(მოგონება)

...ნათქმა

— ჰო, მერე?

— მერე და ისა, რომ ჯერი შენზეა, კოწია.

— აბა გვიამბე რამე...

შემოეხვიენ წითელ არმიელები, ამხანაგს, რა მოიცალეს და შეიკრიბენ...

— კარგით, კი, ჰო... მაცათ, ვიფიქრო...

პაწია სიჩუმე...

— კაი, ვიწყებ... მე გეტყვით ერთ რევოლიუციონურ ამბავს, ხომ?

— ჰო, აბა დაიწყე...

მოჰყვა...

— მე, ამხანაგებო, წელს ჩვენს სამკითხველოში შემხვდა ჟურნალი, რომელშიაც ამოვიკითხე შემდეგი ლექსი:

ლენა.

1914 წელი, 4 აპრილი...—
ოქროს ტაიგა: პაროლით
და, სხვა გაგება;
ღურჯ ხალხთების აჯანყება,
ფაპარ აყრილი
და, მარადიული ბრძოლებით
ძლევის აგება!..

—

ტყვია... გინება... ძველი მზის
ყინვა...
სისხლიან დროშის დაფლეთა
და გაქანება;
რევოლიუცია თავხედი... ციმბირი, ბოწყინვა
და, ეშაფოტზე ჯალათის
აქაქანება!..

—

შორი სიგნალი... თეთრ ფონზე წითელი წყევა,—
თავისუფლება... ურაგანი და,
წვა ცხელ ენის;
გრე იალქნებზე არკინული
სამყაროს რყევა
და, ბლაგვერდი ურჩ ქუჩებს...
ყივილი ლენის!..

ამ ლექსმა გამახსენა მე ერთი რევოლიუციონური ამბავი, რომელსაც რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ერთი საპატიო ალაგი უჭირავს...

ლენა ეს არის მდინარის სახელი ციმბირის ერთ მიყრუებულ მხარეში...

აქაა ოქროს მადნები, მაღაროები...

1912 წ. 17 აპრილს, (ძველი სტილით 4 აპრილს) ამ ციმბირის მიყრუებულ მხარეში, მდინარე ლენაზე, ოქროს მაღაროებში, მოხდა მუშების გამოსვლა, სადაც მეფის მთავრობის მიერ დახოცილ იქნა 250 და დაჭრილ 270 მუშა.

ეს გამოსვლა მოხდა ეკონომიურ ნიადაგზე.

მუშებმა ვეღარ აიტანეს საზარელი პირობები და გამოვიდენ სამართლიან მოთხოვნილებით, მაგრამ მეფემ, როგორც ყოველთვის, პურის მაგიერ მათ მიაწოდა ტყვია...

ამ ამბავმა მაშინ შესძრა მთელი მაშინდელი იმპერიის მშრომელი ხალხი და გაფიცვა—გაფიცვაზე, აჯანყება—აჯანყებაზე დაიწყო...

ამ ამბავმა შესძრა საზღვარგარეთელი ამხანაგებიც, რომელნიც მოითხოვდენ ამ ამბის გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას; მაგრამ განა „ძაღლი ძაღლის ძვალს გასტეხდა?"—მათი მთავრობები განა ამისთვის აწყენინებდენ რუსეთის სისხლიან მთავრობას?!

საქმე აუცილებლად რევოლიუციით დამთავრდებოდა, ალბად, როგორც 1905 წელს, 9 იანვრის შემდეგ, მაგრამ აქ მოუსწრო ისტორიაში გაუგონარმა სისხლის ღვრამ, ორიოდ წლის შემდეგ მსოფლიო ომი ასტყდა და როგორც ყოველივე სხვა რევოლიუციონური აღტყინებანი, ისე ესეც მიყუჩდა...

მაგრამ ამოვარდა თებერვლის რევოლიუციის ქარიშხალი და თავისსავე სისხლში ჩაახრჩო მეფე, თავისი ამალით, რომელზედაც ძლევამოსილად აფრიალდა ოქტომბრის ცეცხლმოკიდებულ ბარიკადებზე კალთებ ალანძული წითელი დროშა,

და,

ამ დროს ჰხარობდა ტურფა
ბუნება,—
ჯიგად ეჯგმოდა წითლად
მნათი მზე;
ო, ისტორია ისალბუნება
და, მოგონებას იწვევს ნადიმზე...

ამ გამარჯვების სიმაგრეს ლენის მუშებმაც ჩაუყარეს საძირკველი და, დღეს, თოთხმეტი წლის შემდეგ, მადლიერი საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის მშრომელი ხალხი ერთხელ კიდევ მოიგონებს შორეულ ლენის ნაპირებზე დაღუპულ ამხანაგებს, რომელნიც წითელ კუბოებით განისვენებენ ცივ ტაიგებში და მიუვალ ტუნდრებში, დააყრიან საგაზაფხულო გამარჯვებათა ყვავილებს და ჩასძახებენ:

— ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი დაწყებული საქმე ჩვენ დავაგვირგვინეთ...

იძინეთ ტკბილად...

გამარჯვებული ინტერნაციონალის ჰიმნი თქვენთვის ასე მღერის დღეს:

წითელი დროშა ავსწიეთ
ზევით,—
ეხლა ოდნავ ვხრით თქვენსა
საფლავზე;
ჩაქუჩ—ნამგლის ნეტარი
ძლევით,—
მოვიმღერთ შვებად წითელ
ვარსკვლავზე...

—

და, აი, ამხანაგებო, მე აგიწერავმ მხატვრთლად, თუ რა გარემოებაში მოხდა მათი დახვრეტა, მაგრამ ჩუ!..

— საყვირი?!

— საგანგაშო შტანგი!

სწრაფად ფეხზე წამოიჭრენ; ვინც გახდილი იყვენ უცბად ჩაიცვეს და, შეიჭურვენ, თოფებს დაავლეს ხელი, ეზოში გამოცვივდენ...

ბოლო თქმა.

ყაზარმა ფეხზე დადგა...

ყველა მზადაა საომრად...

მაგრამ, გამოირკვა, რომ განგაში განგებ იქნა ატეხილი, წითელ არმიელთა, ყოველშემთხვევისათვის, სწრაფ მზად ყოფნად...

წითელ არმიელებმა აქაც დაამტკიცეს თავის ღირსეულობა...

საამო პოზა...

ს. ერთაწმინდელი.

# ᲞᲐᲠᲢᲡᲙᲝᲚᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲔᲪᲐ-ᲓᲘᲜᲔᲝᲑᲡ.

მე-5 ლეგიონის მეორე ათასეულში კარგა ხანია ჩამოყალიბდა პარტსკოლა, რომელიც ენერგიულად აწარმოებს მუშაობას. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს ყოველ დღე. სკოლას ხელმძღვანელობს საკმაოდ მომზადებული ამხანაგი. სკოლის მსმენელები იშვიათი ყურადღებითა და გულმოდგინებით ეკიდებიან მუშაობას, რაც იმის თავდებია, რომ მოკლე ხანში შესაფერად მომზადებულ ამხანაგებს მივიღებთ სკოლიდან.

სამხკორი ვ. ნ—ძე.

# ᲚᲝᲗᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐ-ᲠᲗᲚᲔᲑᲐ.

**მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.**

ლეგიონის ხსენებულ ათასეულში გვაქვს კარგად მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელშიდაც ხშირად ტარდება საუბრები სხვა და სხვა საკითხების შესახებ. ხშირად გვიკითხავენ აგრეთვე ლექციებს, ეწყობა გასამართლებები და სხ.

ერთი ასეთი გასამართლება კუთხეში მოეწყო 12 აპრილს. გასამართლებული იქნა ლოთი წითელარმიელი. გასამართლებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მეთაურებმაც. მოპირდაპირე მხარეთა შეკამათებაში წითელარმიელებმაც მიიღეს მონაწილეობა. გასამართლებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე. ყველა ტაშის ცემით შეეგება სასამართლოს, რომელმაც სასტიკი განკიცხვა გამოუტანა ბრალდებულს. ხელმძღვანელებმა ხშირად უნდა მოგვიწყონ ასეთი აღმზრდელობითი ხასიათის გასამართლებები. მას დიდი ნაყოფი მოაქვს ჩვენში.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

# Ქ. ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲘ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲐ.

კანტონი ჩინეთის ერთ ერთი ქალაქია, რომელიც ითვლება გომინდანის (რევოლიუციონური პარტია) პარტიის და მისი მთავრობის დედაქალაქად. ის ძლიერ განსხვავდება ჩინეთის დანარჩენი ქალაქებისაგან. პირველად ყოვლისა ის ჩინური ქალაქია. აქ არის ერთი პაწია კუნძული, რომელიც გამოყოფილია ქალაქისაგან მდინარით და საგრძნობლად არის დაცილებული ქალაქის უმთავრესი ნაწილისაგან. კუნძულს ეწოდება შამონი, რომელზედაც ცხოვრობენ უცხოელი კაპიტალისტები.

კანტონი დაქსაქსულია კუნძულზე მდინარე „მარგალიტის" შესართავთან, რომელიც შესდგება სამი—ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის შენაკადებისაგან. მდინარე სავსეა პატარა ნავებით, რომლებშიდაც იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან ადამიანები. მდინარეზე დამაყრუებელი დაუსრულებელი ხმაურია.

უცხოეთის სამხედრო გემების გვერდში ამ მდინარეში თქვენ დაინახავთ, უვარგის, დაძველებულ ჩინეთის გემებს. ჩინეთის სხვა ქალაქებში კი ესეც არ არის.

**ხელოსნების ქალაქი.**

კანტონში ჯერ კიდევ არ არის ფეხმოკიდებული მსხვილი მრეწველობა. ის უფრო ხელოსანთა ქალაქია. აქ მზადდება აბრეშუმეულობის, სპილოს და კუს ძვლისაგან საუკეთესო სამკაულები. ქალები და ბავშვები ამზადებენ ერთი მუჭა ბრინჯის ფასად საუკეთესო და მსოფლიოში ცნობილ კანტონის მოსახურავს. ერთი ლუკმა პურისათვის ბრმავდებიან ისინი. აი სად არის დამონავება, სად არის ტანჯვა.

რას არ აკეთებენ აქ ჩინელები? ყელამდე წყალში დგანან და ისე იჭერენ ათასგვარ ზღვის ცხოველებს, იღებენ ქვიშას, კენჭებს და მრავალი სხვა მთელი დღის განმავლობაში. ერთი საინი ბრინჯისათვის დილიდან საღამომდე ასე მუშაობენ 30-40-50 გრადუსი სიცხის ქვეშ.

**კანტონი რევოლიუციის ქალაქია.**

კანტონის ცენტრში მოთავსებულია სახალხო რევოლიუციონური პარტიის—გომინდანის კომიტეტი და რევოლიუციონურ ჯარების შტაბი, კანტონის მთავრობის სასახლე და მთელი ჩინეთის გაერთიანებულ პროფკავშირთა საგაფიცვო კომიტეტი.

ყველგან შეხვდებით აქ გომინდანის პარტიის ბელადის სუნ-იატ-სენის სურათებს, ლენინის სურათებს და აქა იქ ტროცკისა და ტომსკის სურათებსაც.

ქუჩებში ყოველდღე უხვად ცვივა გომინდანის პარტიის მოწოდებები, აკრავენ პლაკატებს და ხშირად იმართება მიტინგები.

უმაღლეს სასწავლებლებში განუწყვეტელი მიტინგები, ლექციები და მოხსენებებია. რევოლიუციონურ და ნაციონალურ დღესასწაულების დროს ქალაქის ქუჩები ივსება აურაცხელი დემონსტრანტებით, წითელი დროშებით ხელში, სიმღერით და სხვა.

დემონსტრაციაში ყველას ნახავთ: მთავრობას, მუშებს, გლეხებს, სტუდენტებს, კომუნისტური პარტია, მუშათა გვარდია, აქვეა არმია, ქალები და ბავშვები. ყველა გრძნობს რევოლიუციონურ აღტყინებას, რევოლიუციონურ ცეცხლს.

**კონკონგი—ინგლისელების სიმაგრეა.**

კანტონის ახლოს მდებარეობს ინგლისელების სიმაგრე—გონკონგი. ის ძევს მდინარე „მარგალიტში" შესავალსა და გამოსავალში. ამ სიმაგრიდან ინგლისელების ზარბაზნები მიშვერილია კანტონისაკენ. ინგლისელი კაპიტალისტები ვერ ითმენენ რევოლიუციონურ კანტონს. ინგლისსა და ჩინეთს შორის წარმოებული მთელი ვაჭრობა ხდება გონკონგისა და კანტონის საშუალებით. გონკონგიდან ინგლისელები არა ერთხელ სცდილობდენ კანტონის რევოლიუციონური მთავრობის დამხობას. გონკონგის მუშებმა გაიფიცეს. გაფიცული არიან მთელი, ნახევარი წელიწადი. გაფიცულ მუშებმა დასტოვეს გონკონგი. 150 ათასი მუშა გადავიდა კანტონში. 100-120 ათასი კი გავიდენ სოფლებში და ეწევიან რევოლიუციონურ აგიტაციას. აკავშირებენ გლეხებს, მოუწოდებენ ბრძოლისაკენ. 30-50 ათასი მუშა დარჩა კანტონში. შეადგინეს საგაფიცვო კომიტეტი. გამოყვეს მოხალისეები არმიისათვის. მუშებს ასწავლიან სამხედრო საქმეს. გონკონგი მოკვდა. მუშები გაფიცული არიან.

# ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

ვიწერ ამხ. ახალკაცის გამოწვევის თანახმად გაზ. „წითელ არმიელს" 4 თვით სოფ. ფარელიანის სასწავლებლისათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს პირველი ლეგიონიდან:

მეთაურებს ჩიკოიძეს და ზოიძეს; მე-6 ლეგიონის მეთაურებს კანდელაკს და მაჭავარიანს. იმედია ეს ამხანაგებიც გამომეხმაურებიან.

მეთ. შონია.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ.

**ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲔᲡ**

მე-2 ლეგიონმა გამოყო 9 ასეული და გაგზავნა ბანაკის მოსაწყობათ. უკვე მივედით დანიშნულ ადგილას და დავიწყეთ მუშაობა. აქ სხვა ქართული ნაწილებიდანაც არიან მოსული. ყველანი ერთ შენობაში ვართ მოთავსებული. საშინელი სივიწროვე და უსუფთაობა არის. ამას გარდა პოლიტიკურ და სამხედრო მეცადინეობა სრულიად მოკვდა. კედლის გაზეთზე ხომ ზედმეტია ასეულში ლაპარაკი. კიდევაც რომ შეიძლებოდეს გამოცემა, ადგილიც არ არის, რომ სადმე გაიკრას.

საჭიროა ასეულის მეთაურებმა მიიღონ ამაზე ზომები რათა არ შეჩერდეს ასეულში ჩვეულებრივი მეცადინეობა.

შ. აზიკუროვი.

**ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ.**

მე-5 ლეგ. 2 ათასეულის უმცროს მეთაურებს დაგვიჭირეს ჯამაგირიდან ფული ფორმისათვის, რომელიც რამოდენიმე დღეში უნდა მოეცათ ჩვენთვის. მას შემდეგ გადის აგერ სამი თვე და არც ფორმისა და არც ფულის შესახებ არაფერი ისმის.

ნეტა ვიცოდეთ რა უყვეს ფულს? უკან მაინც დაგვიბრუნონ და თვითონ ჩვენ შევიძინეთ საჭირო ნიშნებს.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

# ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

12 მარტს მეორე ლეგიონის 6-ხე ასეულში შესდგა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის „გოგია უიშვილის" გასამართლება. როგორც ბრალმდებლები, ისე დამცველები იყვნენ წითელ არმიელებიდან. გასამართლებას მთელი ასეულის შემადგენლობა დაესწრო. წამოყენებული იქნა ბრალდებები და გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს აუდიტორიიდანაც. კამათმა ძლიერ სერიოზული ხასიათი მიიღო. ხელმძღვანელეა მადლობა გადაუხადა წითელ არმიელებს ასეთი მხურვალე ინტერესის გამოჩენისათვის და შეგვპირდა, რომ ხშირად მოაწყობს ასეთი ხასიათის გასამართლებებს.

სამხკორი ბ. კვაჭაძე.

მე 5 ლეგიონის 2 ათასეულში 13 აპრილს ჩატარებული იქნა პოლიტ ლატარია, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. ლატარიამ შეჯიბრის სახე მიიღო წითელ არმიელებს შორის პასუხის გაცემაში შეკითხვებზე.

საჭიროა ხშირად გაიმართებოდეს ასეთები, რადგან ეს ძლიერ ანვითარებს წითელ არმიელებში მეცადინეობისადმი სიყვარულს.

სამხკორი ვ. ნ.

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**გლეხკომის სახელოსნოები.** რაჭის გლეხკომებს ამჟამად აქვთ 2 სამჭედლო და ერთი სახარაზო სახელოსნოები.

**დახმარება წითელ არმიელებს.** რაჭის გლეხკომებმა შემოდგომის ხვნა-თესვის დროს ადგილები დაუმუშავეს 59 წითელ არმ. ოჯახებს.

**ბორჩალოს აღმასკომმა** გამოიმუშავა მაზრაში ხანძრთან ბრძოლის გეგმები.

**ოსეთის** ჯანსახკომმა გამოიმუშავა გეგმა ოლქში ჯანმრთელობის საქმის მოწესრიგების შესახებ.

**ბორჩალოს აღმასკომმა** დაადგინა აღმასკომის წევრები მიამაგროს სხვა და სხვა თემებს თემაღმასკომების მუშაობის გასაცხოველებლათ.

**აბაშის** საჩვენებელი აგროპუნქტის მოსაწყობათ სენაკის აღმასკომმა გადასდო 375 მანეთი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ტფილისის აღმასკომმა** დაადგინა ალკრძალოს ქუჩაში ნაყინით და სხვა ტკბილეულობით ვაჭრობა.

— **ქალ. აღმასკომმა** რუსეთიდან გამოიწერა ვენერიულ სნეულებათა სამკურნალო იარაღები.

— **საქართველოს** ცაკმა დაამტკიცა მაძებარ მილიციის დებულება.

— **წითელ არმიელთა** გამოცდა. 20 აპრილიდან დაიწყება წითელ არმიელთა ცოდნის შემოწმება ზამთრის პერიოდში გავლილ საგნებში.

— **ამჟამად საქართველოში** ითვლება 23 საბინაო საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

— **მიმდინარე წლის პირველი** 5 თვის განმავლობაში ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 6 მილიონი მანეთის საქონელი.

— **ა. კ. საბამბო კომიტეტი** ამ დღეებში მოელის 70 ტრაქტორს ბამბის მეურნეობისთვის.

— **დასასვენებელი სახლების** გამგეობა ამჟამად აწარმოებს დასასვენებელ სახლების შეკეთება-დეზინფექციას.

— **ეროვნულ უმცირესობათა** საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

— **საქართველოს გზა-ტკეცილების** სამმართველომ გადასდო 382 ათასი მანეთი საქართველოში გზა-ტკეცილების შესაკეთებლათ.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

— ბულ—ლს. ექვსი თვის ტარების ვადა აქვს.

— ჯულაყიძეს. 20 აპრილიდან საბიბლიოთეკო სემინარები გაიხსნებიან ასეულებში.

— ობოლაშვილს. შეიძლება. თქვენი უფროსის საშუალებით აღძარით შუამდგომლობა მთავარ ზიმლებ კომისიის წინაშე საჭირო საბუთების წარდგენით.

— ფურცელაძეს. უფროსს შეუძლია გადაგიყვანოს ასეულიდან ასეულში.

— იმერლიშვილს. გამოცდები იქნება თვით პარტსკოლაში.

— ა. იმ—შვილს. ლეგიონის უფროსის ნებართვით.

— ხარებაშვილს. ლეგიონისათვის არ გაიხსნება საბიბლიოთეკო კურსები. წაიკითხეთ ბულ—ლს პასუხი.

— ავიატორს. იარაღის ტარება შეუძლია თუ ტაბულით არის დადებული. სამოქალაქო ტანსაცმელში არ შეგიძლიათ სიარული.

— ა. ჯ—ძეს. არა. ამის ნებართვა დამოკიდებულია თქვენს უფროსზე.

— ს. მე—ლს. თუ საშუალო მეთაურზე გამოცდები არ ჩაგიბარებიათ, მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი.

— დეისაძეს. ტარების ვადის გათავების შემდეგ მოგეცემათ.

— ე. დ—ძეს. ერთად წავლენ.

— გოგიტიძეს. თუ გადამწერის კურსები გაათავეთ უნდა იმსახუროთ სამი წელი. ერთ წელიწადს იმსახურებთ, თუ საშუალო მეთაურზე ჩააბარებთ გამოცდებს.

— ა—ძეს. გერგებათ.

— ქ—ტს. წაიკითხეთ გოგიტიძის პასუხი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ილო მესხრიშვილს თქვენს წერილებში თუ არ იქნა აღნიშნული ჯარის ნაწილი, ისე არ დაიბეჭდება.

სვანიშვილს (მე-2 ლეგ.) —კორესპონდენცია ჩვენი მგზავრობა არ დაიბეჭდება. მოიწერეთ თქვენი მუშაობის შესახებ ბანაკში.

იმერლიშვილს (4 ლეგ.) და მ. ბუაჩიძეს (3 ლეგ.) თქვენი წერილები მეთაურების ქების შესახებ არ დაიბეჭდება. ჩვენი წითელ არმიის მეთაურები ყველანი ვალდებული არიან ენერგიულად იმუშავონ წითელ არმიელების შესაფერად აღზრდის საქმეში.

შრაპნელს. კორესპონდენცია „მოგვეცით დალაქი" გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

მეთვალყურეს (1-ლ არტლეგ.) კვაჭაძეს (2-ლეგ.) და ცვალებად წითელ არმიელს—თქვენი წერილები „1-ლი არტლეგიონი" „ასეულის კრების შესახებ" და „წითელ არმიელის გმირული საქციელი" ძლიერ მოძველებული ამბებია და ამასთანავე უმნიშვნელოც. არ დაიბეჭდება.

მაღალ—მიწერილს (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი კარანტინში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გადაეგზავნა ლეგ. სამხედრო კომისარს ზომების მისაღებათ.

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის მე-6 ასეულის კომუჯრედში აქვთ შემოტანილი განცხადებები შემდეგ ამხანაგებს: კანდიდატობიდან პარტიაში გადარიცხვის შესახებ—კუჭავა აკაკი ზოსიმეს-ძეს·

პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ: 1) მატახერია ლავრენტი პეტრეს ძეს, 2) ლაღიძე ალექსანდრე როსტომის-ძეს, 3) მარლიშვილი შალვა რაჟდენის-ძეს. ამხანაგების, პარტიაში მიღების შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობოთ პირველ ქართულ მსრ. ლეგ. მე-6 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი კ. სოხაძე.

მეხუთე ლეგიონის მე-3 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ისიდორე სიმონისძე შანგუმს, სერგო პავლესძე მანჯგალაძეს, ერმილე ნიკოსძე მურღულიას და იპოლიტე სიმონისძე ტოფაძეს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების წინააღმდეგ გთხოვთ გვაცნობოთ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში აღნიშნულ კომუჯრედში.